საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს

გადაწყვეტილება № 703

2012 წ. "20" 11

ქ. თბილისი

შპს - თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ

დაწესებულების მიერ თვითშეფასების ანგარიშში ასახული ინფორმაციის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2012 წლის 20 ნოემბრის სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, ,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" 28-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის შესაბამისად,

საბჭომ გადაწყვიტა:

1. შპს - თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია.
2. საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2012 წლის 20 ნოემბრის №17 სხდომის ოქმის 40-ე ნაწილი ცნობილ იქნეს ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად.
3. საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელია მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, №6.

თავმჯდომარე
ბაჩანა შენგელია

მდივანი
დიმიტრი ალავიძე